სამოქალაქო ჩართულობა საქართველოში: ვინ, როგორ და რატომ მონაწილეობს?

ნუცა აბრამიშვილი
(საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, სოციალურ მეცნიერებათა სკოლის ბაკალავრიატის სტუდენტი)

სამოქალაქო ჩართულობა დემოკრატიული მმართველობის ერთ-ერთი მთავარი საფუძველია, თუმცა მოქალაქეები საკუთარ როლს პოლიტიკის ფორმირებაში სხვადასხვაგვარად აღიქვამენ.

როდესაც მონაცემებს სოციალური და დემოგრაფიული ჯგუფების მიხედვით ვაანალიზებთ, ცხადი ხდება, რომ სამოქალაქო ჩართულობის დონე მხოლოდ ერთ ფაქტორზე არ არის დამოკიდებული, არამედ მასზე რამდენიმე სოციალური და დემოგრაფიული ფაქტორი ახდენს გავლენას.

ხმის მიცემა

სამოქალაქო ჩართულობის ფორმალური, ინსტიტუციური ფორმა არის არჩევნებში მონაწილეობა. CRRC-საქართველოს-ს 2024 წლის კავკასიის ბარომეტრის გამოკითხვის ფარგლებში, რესპონდენტებს (N=1509) ჰკითხეს, მიაჩნიათ თუ არა, რომ მათი ხმა საარჩევნო პროცესში რეალურ გავლენას ახდენს.

საქართველოს მოსახლეობის 45% არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ მნიშვნელობა არ აქვს ვის მისცემენ ხმას, რადგან ეს არაფერს შეცვლის. იგივე მოსაზრებას კი მოსახლეობის 32% ეთანხმება.

რეგრესიული ანალიზი აჩვენებს, რომ 35-54 ასაკობრივი კატეგორიის წამომადგენლები, 18-34 წლის მოსახლეობასთან შედარებით, უფრო მეტად არიან მიდრეკილნი, დაეთანხმონ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც მათ ხმას არჩევნებზე მნიშვნელობა არ აქვს.

მოქალაქეების წარმოდგენა იმის შესახებ, რომ ხმის მიცემას რეალური გავლენა აქვს მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული მათი განათლების დონესთანაც. საშუალო ან უფრო დაბალი და ტექნიკური განათლების მქონე რესპონდენტები უფრო მეტად ეთანხმებიან

მოსაზრებას, რომ მათ ხმას არჩევნებზე მნიშვნელობა არ აქვს, ვიდრე ისინი, ვისაც უმაღლესი განათლება აქვს.



სხვა დემოგრაფიული ცვლადები - სქესი, დასახლების ტიპი, ეთნიკური მიკუთვნებულობა, დასაქმების სტატუსი და ეკონომიკური მდგომარეობა მოსაზრებებს შორის განსხვავების თვალსაზრისით სტატისტიკურად მნიშვნელოვან განსხვავებას არ გვაძლევს.

პეტიციებზე ხელმოწერა

პეტიციებზე ხელმოწერა, სამოქალაქო აქტივობის ერთ-ერთი ფორმაა. კავკასიის ბარომეტრის 2024 წლის მონაცემები აჩვენებს, რომ მოსახლეობის მხოლოდ 4%-ს მოუწერია ხელი პეტიციაზე ან მოთხოვნაზე, ონლაინ პეტიციის ჩათვლით.

რეგრესიული ანალიზის მიხედვით, ამ შეკითხვაზე პასუხი მკვეთრად გასხვავდება თაობების მიხედვით. 18-34 წლის ახალგაზრდები უფრო მეტად ამბობენ, რომ ბოლო 12 თვის განმავლობაში პეტიციაზე ან მოთხოვნაზე ხელი მოუწერიათ, ვიდრე უფროსი ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობა. ეს განსხვავებები სტატისტიკურად მნიშვნელოვანია, რაც მიუთითებს, რომ

პეტიციებზე ხელმოწერა, როგორც პოლიტიკური მონაწილეობის ფორმა, ახალგაზრდებისთვის უფრო მეტად არის დამახასიათებელი.

ასევე გასათვალისწინებელია პეტიციებზე ხელმოწერის ტენდენცია დასახლების ტიპის მიხედვით. დედაქალაქში მაცხოვრებლებისგან უფრო მეტად არის მოსალოდნელი, რომ ბოლო 12 თვის მანძილზე პეტიციაზე ხელმოწერის ფაქტი დაადასტურონ, ვიდრე სხვა საქალაქო ტიპის ან სოფლად მცხოვრები მოსახლეობისგან.

ასაკისა და საცხოვრებელი ადგილის გარდა, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება აჩვენა ეკონომიკურმა მდგომარეობაც. ეკონომიკური სტატუსის მიხედვით, ყველაზე დაბალი ქონებრივი ჯგუფის წარმომადგენლებში ჩართულობა ყველაზე ნაკლებია, მაშინ როცა საშუალო ქონებრივ ჯგუფში ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალია. თუმცა მაღალ ქონებრივ ჯგუფში კვლავ მცირდება.

ბოლო 12 თვის განმავლობაში გაგიკეთებიათ თუ არა შემდეგი? - **ხელი მოაწერეთ პეტიციას ან მოთხოვნას, ონლაინ პეტიციის ჩათვლით** (% დაიხ)



სხვა დემოგრაფიული ცვლადები - სქესი, ეთნიკური მიკუთვნებულობა, განათლების დონე და დასაქმების სტატუსი ბოლო 12 თვის განმავლობაში პეტიციაზე ხელმოწერის გამოცდილების მიხედვით სტატისტიკურად მნიშვნელოვან განსხვავებებს არ ავლენს.

დემონსტრაციებსა და საპროტესტო აქციებში მონაწილეობა

კავკასიის ბარომეტრის 2024 წლის გამოკითხვის მიხედვით, მოსახლეობის მხოლოდ 6% აცხადებს, რომ ბოლო 12 თვის განმავლობაში მონაწილეობა მიუღია დემონსტრაციაში ან საპროტესტო აქციაში. დიდი უმრავლესობა - 92% კი ამბობს, რომ არ მიუღია მონაწილეობა.

რეგრესიული ანალიზის მიხედვით, ასაკის ცვლადი სტატისტიკურად მნიშვნელოვან განსხვავებას გვიჩვენებს. 18-34 წლის ახალგაზრდებში პროტესტში მონაწილეობის ალბათობა უფრო მაღალია, ვიდრე უფროს ასაკობრივ ჯგუფებში. დემონსტრაციებში მონაწილეობა მკვეთრად კონცენტრირებულია დედაქალაქში: თბილისში მცხოვრებთა შორის დემონსტრაციებში მონაწილეობის სავარაუდო მაჩვენებელი ბევრად აღემატება სხვა ქალაქებსა და სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის პროტესტში მონაწილეობის სავარაუდო მაჩვენებელს.

ბოლო 12 თვის განმავლობაში გაგიკეთებიათ თუ არა შემდეგი? -
მონაწილეობა მიიღეთ დემონსტრაციაში ან საპროტესტო აქციაში (% დაიხ)



სხვა დემოგრაფიული ცვლადები - სქესი, ეთნიკური მიკუთვნებულობა, განათლების დონე, დასაქმების სტატუსი და ეკონომიკური მდგომარეობა ბოლო 12 თვის განმავლობაში დემონსტრაციებსა და საპროტესტო აქციებში მონაწილეობის გამოცდილების მიხედვით სტატისტიკურად მნიშვნელოვან განსხვავებებს არ ავლენს.

მთლიანობაში, მონაცემები აჩვენებს, რომ სამოქალაქო ჩართულობა განსხვავდება ჩართულობის ფორმისა და სოციალური-დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით. ხმის მიცემის ეფექტიანობის აღქმა განსაკუთრებით უკავშირდება ასაკსა და განათლების დონეს, მაშინ როცა პეტიციებზე ხელმოწერა და დემონსტრაციებში მონაწილეობა უფრო მეტად ახალგაზრდებისთვის და დედაქალაქში მცხოვრებლებისთვის არის დამახასიათებელი. ამასთან, არაინსტიტუციურ ჩართულობაში ეკონომიკური მდგომარეობაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს. სხვა დემოგრაფიული ფაქტორები უმეტეს შემთხვევაში სტატისტიკურად მნიშვნელოვან განსხვავებებს არ აჩვენებს, რაც მიუთითებს, რომ სამოქალაქო ჩართულობა მრავალ ფაქტორული პროცესია.

ბლოგში მოცემული ანალიზი ეყრდნობა ლოგისტიკური რეგრესიის მოდელს. მოდელი მოიცავს შემდეგ დამოუკიდებელ ცვლადებს: სქესი (კაცი, ქალი), ასაკობრივი ჯგუფები (18–34, 35–54, 55+), დასახლების ტიპი (დედაქალაქი, სხვა ქალაქი, სოფელი), დასაქმების სტატუსი (დასაქმებული ან დაუსაქმებელი), განათლება (საშუალო ან უფრო დაბალი, ტექნიკური, უმაღლესი), ეთნიკურობა (ქართველი, ეთნიკური უმცირესობა), მატერიალური მდგომარეობა (13 სხვადასხვა ნივთის ფლობა შინამეურნეობაში).

წინამდებარე ანგარიში მომზადდა პროექტის „ანტიდემოკრატიული პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლა ჩართულობისთვის“ ფარგლებში, რომელიც CRRC-საქართველოს მიერ შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Sida) მხარდაჭერით განხორციელდა.

ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის მხოლოდ მის ავტორებს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს CRRC-საქართველოს ან შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Sida) ოფიციალურ პოზიციას.